



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 30 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №163/22  
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2022 წლის 26 სექტემბერს №163 საჩივრით მომართა -- --, რომელმაც მოითხოვა -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

-- -- ბრძანებულების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, ის არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

**გ ა და წ ყ ვ ე ტ ა :**

-- -- 2022 წლის 26 სექტემბრის №163 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი